საქართველოს პარლამენტის წევრი

№ 8788
30.05.2017

საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო
დეპარტამენტის უფროსს

ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

მიმდინარე წლის 25 მაისს, ჩვენს მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი იქნა საქართველოს კანონის პროექტები „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ".

აღნიშნულ საკანონმდებლო პაკეტს მიენიჭა სარეგისტრაციო ნომერი 07-3/62, 25.05.2017.

საკომიტეტო განხილვების პროცესში ჩვენს მიერ მიჩნეულ იქნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული ცვლილების განხორციელება ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 147-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, მოგმართავთ N07-3/62, 25.05.2017 საკანონმდებლო პაკეტიდან „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის გამოთხოვის თაობაზე.

პატივისცემით,

სოფიო კილაძე

რატი იონათამიშვილი

ანრი ოხანაშვილი

ვანო ზარდიაშვილი